



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 522/ს  
16/12/2022

522-21-4-202212161347



**ქ. თბილისში, სამგორისა და ისნის რაიონში, სს „თელასის“ 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე (ქვ/ს „ნავთლული 220“-დან ქვ/ს „მცირე ნავთლული“-მდე საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლილო 1“-ის და „ლილო 2“-ის შეცვლა მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზით) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სს „თელასის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისში, სამგორისა და ისნის რაიონში, 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის (ქვ/ს „ნავთლული 220“-დან ქვ/ს „მცირე ნავთლული“-მდე საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლილო 1“-ის და „ლილო 2“-ის შეცვლა მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზით) სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, 35 კვ ძაბვის ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემის ხაზი „ლილო 1“ და „ლილო 2“, წარმოადგენს სს „თელასის“ საკუთრებას, რომელიც აკავშირებს ქვ/ს „ნავთლული-220“-სა (დიდი ნავთლული) და ქვ/ს „მცირე ნავთლული“. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზი ექსპლუატაციაში შესულია 1947 წელს. ქვ/ს „ნავთლული 220“-დან ქვ/ს „მცირე ნავთლული“-მდე საჰაერო ელექტროგადამცემის ხაზი „ლილო 1“-ის და „ლილო 2“-ის სიგრძე შეადგენს 4400 მეტრს და თითქმის მთელ სიგრძეზე გადადის საცხოვრებელ კორპუსებსა და ეზოებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ვინაიდან საჰაერო ეგხ-ს სადენების, საყრდენებისა და საკიდი ელემენტების მექანიკური თვისებები გაუარესებულია, სს „თელასის“ მომხმარებლების ელექტრომომარაგების უსაფრთხოების, გამტარიანობის შესაძლებლობების გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია „ქვ/ს „ნავთლული 220“-დან ქვ/ს „მცირე ნავთლული“-მდე 4500 მეტრი 35 კვ ძაბვის ორჯაჭვა საკაბელო ელექტროგადამცემის ხაზის გაყვანა. საპროექტო საკაბელო ეგხ-ს ტრასა იწყება ქვ/ს „ნავთლული 220“-დან, ნაკადულის ჩიხის გავლით გადის ემირ ბურჯანაძის ქუჩაზე, საიდანაც ტრასა გრძელდება ბოგდან ხმელნიცკის, პაატა ჯანელიძის და სამგორის ქუჩებზე. სამგორის ქუჩის გავლით საპროექტო საკაბელო ეგხ-ს ტრასა მთავრდება ქვ/ს „მცირე

ნავთლული“-ს ტერიტორიაზე. საპროექტო საკაბელო ეგხ-ს GPS კოორდინატებია: X-491654.64 Y-4612667.09; X-491660.07 Y-4612664.8; X- 491617.15 Y-4612604.22; X-491415.17 Y-4612710.61; X-491274.18 Y-4612429.44; X-491264.41 Y-4612433.7; X-491199.38 Y-4612366.35; X-491193.37 Y-4612367.95; X-491057.4 Y-4612458.11; X-490835.13 Y-4612612.37; X-490798.62 Y-4612617.54; X-490752.28 Y-4612609.29; X-490718.86 Y-4612615.85; X-490224.7 Y-4613146.74; X-490199.2 Y-4613194.24; X-489870.49 Y-4613397.01; X-489737.06 Y-4613586.99; X-489311.28 Y-4613740.4; X-488782.01 Y-4613975.33; X-488632.64 Y-4613919.41; X-488475.59 Y-4613981.66; X-488428.83 Y-4614088.4; X-488330.59 Y-4614121.74; X-488299.24 Y-4614058.03; X-488288.15 Y-4614060.27; X- 488276.31 Y-4614040.82; X-488247.19 Y-4614050.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქვ/ს „ნავთლული 220“-ისა და ქვ/ს „მცირე ნავთლული“-ის ტერიტორიაზე კაბელების განთავსება გათვალისწინებულია მიწისზედა რკინაბეტონის საკაბელო არხში (ჯამური სიგრძე შეადგენს 60 მეტრს), ხოლო ქვესადგურების გარეთ კაბელების განთავსება გათვალისწინებულია მიწისქვეშა საკაბელო ტრანშეაში. ეგხ-ს სამონტაჟოდ შერჩეულია 1x500 მმ<sup>2</sup> კვეთის, АПвПы2г 1x500/70 ტიპის ალუმინის ცალფაზა კაბელი. ტრანშეაში სამად შეკრული კაბელების მოწყობა გათვალისწინებულია დამცავი ЛК 75.30.30 ტიპის რკინაბეტონის არხში (740x280x280 მმ). საკაბელო არხის საფარი მოწყობა დამცავი ПТ 75.30.6 ტიპის რკინაბეტონის ფილისგან (740x300x60 მმ). საპროექტო კაბელების საყრდენ კონსტრუქციაზე დასამაგრებლად გათვალისწინებულია SE (Dutchclamp) ტიპის სამაგრი მარყუქები. საპროექტო 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ეგხ-სთვის გათვალისწინებულია ალუმინის ცალფაზა კაბელები პოლიეთილენის (ПВХ) იზოლაციით, ბრონირებული და გამლიერებული მექანიკური დაცვით. კაბელების ჩადების სიღრმე შეადგენს 1000 მმ (გზის გადაკვეთაზე - 1100 მმ). მიწაში მოთავსებულ კაბელებსა და შენობის საძირკველს შორის ჰორიზონტალური მანძილი იქნება არანაკლებ 0.6 მ, ხოლო კანალიზაციის მილებს შორის ჰორიზონტალური დაშორება არანაკლებ 0,6 მ (შეზღუდულ პირობებში შესაძლებელია ამ მანძილის შემცირება 0.5 მ-მდე). რკინიგზისა და საავტომობილო გზების გადაკვეთა გათვალისწინებულია გვირაბული მეთოდით ე.წ „თხუნელას“ საშუალებით. საავტომობილო გზებისა და რკინიგზის გადაკვეთისას, მექანიკური დაცვის უზრუნველსაყოფად, კაბელი ჩაიდება 100/95 მმ პლასტმასის ორფენიან ხისტ მილში (სიხისტის კლასი SN-8). პროექტით გათვალისწინებულია საპროექტო 35 კვ ძაბვის ტრასაზე მუდმივი ნიშნების მოწყობა, პლასტმასის დგარის საშუალებით (თეთრი ფერის ამრეკლით). საკაბელო ხაზის კუთხეებში და ტრასის სწორ მონაკვეთში ყოველ 20 მეტრში განთავსდება მუდმივი ნიშნების წარწერა „კაბელი“.

როგორც სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული გაზის მილსადენების, წყლის მილსადენების, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებისა და ძალოვანი კაბელების გადაკვეთის ადგილებში, ერთი მეტრის სიახლოვიდან მიწის სამუშაოები წარიმართება ხელით, ნიჩაბის გამოყენებით. სამუშაოები ჩატარდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. სკრინინგის განცხადების თანახმად, ასევე გათვალისწინებულია 25 ერთეული არსებული ძველი მოდიფიკაციის ლითონის ორჯაჭვიანი საანკერო-კუთხური

საყრდენისა და საძირკვლის დემონტაჟი. 35 კვ ძაბვის ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემის ხაზი „ლილო 1“ და „ლილო 2“- ის ელ. ქსელიდან დემონტირებული ვარგისი მასალის განთავსება მოხდება სს „თელასის“ საწყობში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. როგორც სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: სამუშაოების შესრულებისას სპეცტექნიკისა და სამშენებლო მანქანების ტექნიკურ გამართულობაზე მონიტორინგი (სამშენებლო მოედანზე არ დაიშვება გაუმართავი სპეც. ტექნიკა), ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში ალტერნატიული ტექნიკის მობილიზება, ავტოსატრანსპორტის სიჩქარის შეზღუდვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისას მოსალოდნელია ინერტული და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. თხრილების მოწყობისას წარმოქმნილი გრუნტის უმეტესი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილის სახით, ხოლო დარჩენილი ნაწილი, დაახლოებით 1000 ტონა გრუნტი გატანილი იქნება ქ. თბილისის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე. ასევე, აღნიშნულ სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე იქნება გატანილი დაახლოებით 400 ტონა არსებული საყრდენების ბეტონის საძირკვლების ნარჩენები. როგორც აღინიშნა სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ვარგისი მასალა დასაწყობდება სს თელასის საწყობში (ლილო სადგურ N51-ში), ხოლო შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი ფოლადის, რკინის და ალუმინის ჯართი გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება, ელექტროგადამცემი ხაზის დემონტაჟისა და მშენებლობის პროცესში წარმოქმნილ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს - განთავსდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერებში;

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება გრუნტების 2 ფენა: ფენა 1 - ტექნოგენური ფენა (tQIV), ფენა 2 - თიხაქვიშა (dpQIV). საპროექტო ტერიტორიაზე არ არის განვითარებული საშიში გეოდინამიკური პროცესები, ტერიტორია მდგრადია და დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ანთროპოგენური დატვირთვის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა სამგორისა და ისნის რაიონის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, სამგორისა და ისნის რაიონში, სს „თელასის“ 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა (ქვ/ს „ნავთლული 220“-დან ქვ/ს „მცირე ნავთლული“-მდე საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლილო 1“-ის და „ლილო 2“ -ის შეცვლა მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზით) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „თელასი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „თელასს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „თელასის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორისა და ისნის რაიონის გამგეობის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო